ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

6

მარტი

1989


ნახ. ჯ. ლოლუასი
იყიდეთ
საქართველო!
სახნავ-სათესი
საძოსახლო
საბაღოსა
საბაღოსა
საბაღოსა

მამულო, სიცოცხლეო!

(გალაკტიონისებურად)

„სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არაფარული,
შვილთა შენთა ხმამაღლა თქვან შენი სიყვარული,“
სიცოცხლეო, სამშობლოვ! კაცი, ქვეგამხედვარე
ჩუმად ეპატრონება შენს ლამაზ არემარეს!..
აი, როგორ მოხდა ეს: კაბინეტში მჯდომარემ
მინისტრმა, დირექტორმა, გამგემ თუ თავმჯდომარემ
ბეჭდით მისცეს დასტური — „ველი, ახო, მიდამო,
მავანს თუ მოესურვა, ჰქონდეს საკარმიდამოდ!“
ასე მოხდა ქალაქად, მთაში, ბარში, შინ, გარეთ!..
უმბრნი დაეპატრონნენ ვენახს, ტყეს და მდინარეს!..
იყო დილა მშვიდობის, მაგრამ გაჩნდა ტკივილი,
აღარ ისმის ფრინველთა სტვენა ჟივილ-ხივილი!..
ბეტონის გალავნები ვინ თქვას ხოდაბუნებად?
წალდით, შხამ-ქიმიკატით კლავენ დედაბუნებას!..
შემორაგვეს თავისად ხალხის ნახნავ-ნათესი,
დაიჩემეს სოფლები სხვა კანონით, სხვა წესით!
მიწამცირე ქვეყანას აღარ დარჩა არც კალო,
არც იმდენი — სტუმრისთვის რომ ნაბადი გაშალოს!
ზვარში ჩასანგრებულან უთოფო ყაჩაღები,
მიუსაკუთრებიათ ახო, იალაღები!..
რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და თავდაცვის გენია,
უძღებთ დღე დათვლილია, გამარჯვება ჩვენია!

ელგუჯა მერაბიშვილი

ფუი, ეშმაკს!..

„უძრაობის დროიდან შემოგვრჩა, ყველაფერთან ერთად, მინისადმი წმინდა მუშტრული დამოკიდებულება. ზოგ-ზოგები არც კი უფიქრდებიან ასეთი მიდგომის შედეგებს. და აი, დღეს იმას ვიმკით, რაც დავთესეთ“.

გაზეთებიდან

უპატრონო ეკლესიას რომ ეშმაკები შეესივნენ, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ.

ასე დაემართა საქართველოსაც.

„იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით!..“ — მოსთქვამდა ნიკო ლორთქიფანიძე 1910 წელს თავის **„საშობაო მინიატიურებში“**.

გაყიდვა ეგრე არ უნდაო და, ათიოდე წელიწადში ვიღაც ურჯულოებმა სულ ბითუმად ჩამოურიგეს საქართველოს მიწა-წყალი ჩრდილოელ თუ აღმოსავლელ მეზობლებს და მშვენიერი, ნაყოფიერი **„ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“** კუთხეებიც იმავ გზას გაუყენეს, რა გზითაც ჩვენი გული — ტაო-კლარჯეთი დავუტოვეთ საჯიჯგნად ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს!..

მერმე? „მერმე შინათ აიშალნენ“ და რომ გვეგონა, მორჩა, დავისვენეთო, იმ ურჯულოთა კვალს სხვები, ახლა უკვე შინაური მტრები ჩაუდგნენ. დაიწყო ისევ ჩვენი მარჩენალი მიწების განიავება, ამჯერად უკვე ბითუმად კი აღარ, წვრილ-წვრილად!..

„იყიდება საქართველოო!..“

დიახ, იყიდებოდა საქართველო, მისი მამული; იყიდებოდა როგორც ძველად, ისევე მერეც, ჩვენს დროში!.. და, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე იტყოდა, —

იყიდებოდა: წვრილად და სოფლებად, აქაც და იქაც, ამერშიც და იმერშიც!..

ირღვეოდა: წესი და რიგი, მიწის კანონმდებლობა და მინათსარგებლობის წესები, საპასპორტო რეჟიმი და ჩანერის წესები. ვინ მოსთვლის, სად, რამდენჯერ, რა სახით, რა მიზნით?!.

მიწა ურიგდებოდათ: ადგილობრივთ თუ არაადგილობრივთ, მეზობელი თუ შორეული რესპუბლიკებიდან ლტოლვილთ, შემოპარულთ, შემოლაქუცებულთ, შემოტმასნილთ, ბოგანოთა თუ მდიდართ, მარტოხელათ თუ მრავალსულთ, პატიოსანთ თუ უპატიოსნოთ, ჩანერილთ თუ ჩაუწერავთ!..

აკანონებდნენ: უკანონობას და ზოგჯერ არც აკანონებდნენ, თვალს ხუჭავდნენ — შენც სუ და მეცო!

არღვევდნენ წესებს: ადგილობრივი, უკაცრაული პასუხია, ხელმძღვანელები, სამეურნეო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, უპასუხისმგებლონი და უპრინციპონი, უსუფთაონი და უკონტროლონი!..

იყო ერთი აღებმიცემობა, განუკითხავი და განუსჯელი!..

რაკიღა ყიდვა-გაყიდვა მიდიოდა, რაკიღა დახლიდარობა იყო, მაშ, ჩვენში ახალი მაღაზიები გაჩენილა, მიწის სავაჭროები, მიწის დუქნები!..

მერედა, დუქნებში ხომ წესად არის ხამუშ-ხამუშ აღწერონ ხოლმე შემოსავალ-გასავალი — რა გქონდა, და დაგრჩა, რა მოიგე, რა წააგე?..

ჰოდა, ამ დუქნებს ახლა შავი დღე დაუდგათ: **აღშფოთდა საზოგადოება, ახმაურდა ერი!.. შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, რომელმაც საქვეყნოდ უნდა გამოიტანოს ამ დუქნების შავი საქმეები.**

კომისიები შეიქმნა ადგილებზეც და ატყდა ერთი კორიანტელი:

შედგა აქტები!..

გაპროტესტდა უკანონო დადგენილებები!..

აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები!..

მიწების ნაწილი დაუბრუნდა მათ კანონიერ მფლობელებს!

სამართალმა დაიწყო პურის ჭამა, მადა კი ჭამაში მოდის!.. და თუ ამ სახელგატეხილი, უნამუსო მევახშეების საპარპაშო დუქნებს საერთოდ დავხურავთ, ამას რაღა აჯობებს!

აბა, მართლაც, **სადა აქვს საქართველოს მიწა დასაკარგავი?** საქართველოს, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი მთები და მთისწინეთია, რომლის თითოეულ მოსახლეზე 0,15 ჰექტარი სახნავი თუ მოდის და ამ მაჩვენებლით მე-14 ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკებში.

ჩვენ ისედაც გვაკლდება მიწები ეროზიის გამო, ზვავებისა და მეწყრების გამო, წყალდიდობის, წყალმეტობისა და წყალმცირობის გამო, ქალაქების უსაშველო გაზრდით მათ შემოგარენში არსებული მაღალნაყოფიერი ბაღ-ბოსტან-ვენახების ხარჯზე და ახლა კიდევ უაზროდ ვარიგოთ ეს ოქროს ფასად ღირებული ავლა-დიდება?

მინის ყოველი გოჯის გამოყოფას აკანონებს (უნდა აკანონებდეს!) მხოლოდ უმაღლესი ინსტანცია — რესპუბლიკის მთავრობა! და იცით რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ კანონიერი გზით, მხოლოდ გადაუდებელი და აუცილებელი საჭიროებისათვის უნდა გაიცეს მტკაველ-მტკაველ მოზომილი მიწა და გაიცეს იმ აზრით, რომ თუკი გაიმეტებ და გაიღებ ამ განძს, ისე უნდა გაიღო, რომ მან თავისზე უფრო ძვირად ღირებული ამონაგები მოგცეს ქვეყნისა და ერისთვის!

მიწა, ჩვენი ეროვნული საუნჯე, ხელთ არ უნდა ჩავუგდოთ ვიღაც მიეთმოეთებს, ვისაც ქვეყანაც და ერიც, დიდი ილიას თქმით, „ფეხებზე ჰკიდია“, ვისაც ქვეყანა თავისი საკუთარი ძროხა ჰგონია, რამდენიც უნდა და როგორც უნდა, ისე რომ შეუძლია წველოს, წველოს თავისთვის და მხოლოდ თავისთვის, ხოლო როცა ამ ძროხას სიქას გააცლის, როცა იგი გაბერწდება და რძეს აღარ მისცემს, მერე იქნებ მიაკლას კიდევაც და ხორცად გაყიდოს ისევ თავისი ჯიბის გასასქელებლად!..

ნუღარ ვათქმევინებთ ქართველს გამწარებული **ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვებს: „იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“**

არ არის საქართველო უპატრონო ეკლესია!

ფუი, ეშმაკს!..

გივი პეტრიაშვილი

შოთა ნიშნიანიძე — 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული ზარი მწერალ თენგიზ ბოგოლაძისა

„ნიანგის“ სალაღობო
მილოცვა შოთა ნიშნიანიძეს

თაყვანისცემით და მოწიწებით
მსურს მოგილოცო სამოცი წელი! —
შენ მზესთან ერთად ჩახვალ ყოველთვის
და მზესთან ერთად ამობრწყინდები!..

გაქვს პოეზია მზიურ-ზევსური,
მოშურნეებმა სისხლი გაგიშრეს,
ავტორი „ხ ა რ ი ს“, „ვ ე ფ ხ ვ ი ს“, „ხ ე ვ ს უ რ ი ს“,
შ ო თ ა ხარისხის ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე ვ!

კვლავ რედაქტორობ ახლა „ს ა უ ნ ჯ ე ს“, —
დროთა დინებამ ინება ასე, —
ქართველს კიდევ ერთ ლამპარს აუნთებ,
თუკი ალმანახს ჟურნალად აქცევ!

რახან მამულის მომავალშიც ხარ,
გითხრა უღრმესი მადლობა, მინდა,
და შენით პწკარით კითხვა დაგისვა:
„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“

„ნიანგის“ დავალებით — **ზაურ ბოლქვაძე**

მატარებლები და პოეტები

მატარებლები და პოეტები?!
საიდან სადო, იტყვით, ღმერთმანი,
ბედის და გზების მაძიებლები
მაინც რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს.
მათ ერთნაირად უყვართ ბუნება,
ღამეთა ტეხვა და ხეტიალი.
ერთადერთია მათი ცდუნება —
გზები და გზები ოხერტიალი.
უყვართ მგზავრების აყოლიება
და ოცნებები, მზით დამქარგავი.
უყვართ მგზავრების აყოლიება,
მაგრამ ნახევარს გზაში ჰკარგავენ.
იგვიანებენ მატარებლები,
უნიავებენ მგზავრებს ზმანებებს,
იგვიანებენ (კარგი როდია!..)
და პოეტებიც იგვიანებენ.
იგვიანებენ რიგიანები,
იგვიანებენ (კარგი როდია!..)
იგვიანებენ, იგვიანებენ
ანდა საოცრად ადრე მოდიან.
იმეორებენ დიდი ვნებებით
ძველ გზებს, შეხვედრებს და განშორებებს,
იმეორებენ მატარებლები
და პოეტებიც იმეორებენ.
აქვთ მოლოდინი და იმედები
და მოლოდინში არ ესვენებათ.

მატარებლები და პოეტები
თავს როცა უნდათ, შეგახსენებენ.
მათ სიმყუდროვე ფეხქვეშ ეცლებათ
და სივრცეებთან უყვართ ჭიდილი
და უვარდებათ ფეხქვეშ რელსებად
მომავალი და ზოგჯერ... სიკვდილიც.
მაგრამ დიდების მოსახვეჭებლად
არც ნიჭი კმარა, არც თავდადება.
დიდება არის მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება.
მატარებლები და პოეტები?!
ეს შედარება რით გავამართლოთ?
არის თავ-თავის შემოქმედებით
ზოგი სახალხო,
ზოგიც — საბარგო.
ზოგი დიდ გზებზე გადის გრიალით,
ზოგი ჩიხშია და ბუქსირს ელის,
ზოგმა მსოფლიო შემოიარა,
არც ავის არის, არც კარგის მთქმელი,
ჩიხი!.. (ო, ჩიხი საშინელია!)
შეჩერებანი და სადგურები
თუ მატარებლებს გზებზე შველიან,
პოეტებს მხოლოდ ანადგურებენ.
ზოგი სინდისის წინაშე სცოდავს —
ბევრი უბია
და მიაქვს ცოტა...
ტყდება პწკარები, როგორც წკირები,
ტყდება, წკრიალებს და ტკივილს ამხელს.
უმცირესობა ლექსს ეწირება,
უმრავლესობა — ხმაურს და სახელს.
გვიშველეთ! სენი უკურნებელი
არის დიდების აკვიატება.
დიდება არის მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება.
სულო, ამივსე სხეულის თიხა,
ამივსე, ღვთიურ ცეცხლით ამივსე!
მგზავრები მიგვყავს ხილულის მიღმა
ზოგს ღმერთისაკენ,
ზოგს — ეშმაკისკენ.
მიყვარს გზები და მატარებლები
და პოეტებიც მიყვარს, ღმერთმანი,
ბედის და გზების მაძიებლები,
თურმე რაოდენ ჰგვანან ერთმანეთს!
მაგრამ დიდებას, როგორც შეჰფერის,
გვიან მოელის აკიანთება,
დიდება არის მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება.

შოთა ნიშნიანიძე

მექოთნეები

ფელეტონი

ჩვენი საზოგადოება, როგორც ყოველი სხვა, მუდმივი განახლების პროცესშია და ეს განახლება ახალი თაობის მოსვლასა და ძველი თაობის აქტიური ცხოვრებიდან გასვლაში გამოიხატება. წლებთან ერთად ადამიანები იღლებიან, ბერდებიან და დამსახურებულ დასვენებას ითხოვენ — პენსიაზე გადიან!..

გარდაქმნასთან დაკავშირებით დაიწყო ამ პროცესის ერთგვარი ესკალაცია, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ძირშივე მცდარია, რადგან სულ სხვადასხვა რიტმით მუშაობს ცალკეულ ინდივიდთა „ბიოლოგიური საათი“, არიან ადამიანები, სამოცი წლის ასაკშიც რომ კუდით მოზვერს დაითრევენ, ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილებითა და განსწავლულობით კომპეტენტურ სპეციალისტებად ითვლებიან.

უფროსი თაობის პენსიაზე ხელაღებით გაშვება მიუღებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. სოციოლოგიაში არსებობს ცნება „მოსახლეობის საპენსიო დატვირთვა“; მისი ხელოვნური გაზრდა უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე.

ისე რომ, ეს პროცესი ობიექტური აუცილებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს და ყოველთვის გამორიცხული უნდა იყოს სუბიექტური ფაქტორი, და მაინც არსებობენ სუბიექტები, ვინც კვლავ თვითნებობს ამ საკითხის გადაჭრისას: ზოგს აიძულებენ, რომ პენსიაზე გავიდეს, ზოგი ისე გაჰყავთ, რომ არც ეუბნებიან, ხოლო ზოგს კი ისე უჭიანურებენ საბუთების გაფორმებას, რომ მთლად უკარგავენ „საპენსიო მადას“!..

დასამალი არ არის, რომ გარდაქმნის პერიოდშიც შემოგვრჩნენ მექოთნეები, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს გარეშე არ ამზადებენ საბუთებს ან არ ღებულობენ, ეჭვი შეაქვთ მათ ვარგისიანობაში. ასეთ მექოთნეებს უნარი შესწევთ, საიდანაც უნდათ, იქიდან მოაბან ქოთანს ყური, ან სულაც უყუროდ დატოვონ!..

ჩვენს რედაქციაში ბევრი ასეთი საჩივარი მოდის. **მოქალაქე გ. კ. ჩიოდა, სოციუზრუნველყოფის განყოფილებამ 117 მანეთი პენსია დამინიშნა, ახლა კი შემიმცირესო.** გამოირკვა, რომ მას პენსიის რაოდენობა განგებ არასწორად გაუანგარიშეს, გაუზარდეს, მაგრამ რაკი დაპირებული თანხა აღარ გადაუხადა, ისევ დაუკლეს, რაც კანონით ეკუთვნოდა, ის მისცეს.

მეორე შემთხვევაში **ვ. ბ-ს სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში წარდგენილ საბუთებს უწუნებდნენ, აქ ეს აკლია, იქ ის აკლიაო, უკიბავდნენ და მხოლოდ რედაქციის ჩარევის შემდეგ დაუნიშნეს პენსია.**

ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები ვერ ერკვევიან თავიანთ უფლებებში, უმწეობას იჩენენ პენსიის დასანიშნავად საბუთების შეგროვებაში და ამიტომ იძულებული არიან გაიღონ ხარკი, ოღონდაც ასეთ გაწამაწიას თავი დააღწიონ.

გამომდინარე აქედან „ნიანგის“ რედაქცია აპირებს კოოპერატიული მოძრაობის ბუმში ერთი სიახლე შეიტანოს — გახსნას უფლებრივი კოოპერატივი პენსიაზე გამსვლელთათვის და დაარქვას მას „თხა და გიგო“.

ქვემოთ გთავაზობთ ორ მოსაზრებას ამ საკითხზე.

თბილისელი ნიკოლოზ ბაქრაძე გვწერს:

„გთხოვთ გახსნათ კოოპერატივი საპენსიო ასაკს მიღწეული მამაკაცებისა და ქალებისათვის, რათა ისინი აბიტურიენტების მსგავსად მოემზადონ პენსიაზე გასვლისას საბუთების გაფორმების პერიოდისათვის!..

ასეთი კოოპერატივი რომ ყოფილიყო, მოვემზადებოდი აღნიშნული საბედისწერო პერიოდისათვის, დავამყარებდი თბილ, პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობას ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სოციუზრუნველყოფის ინსპექტორთან (სტილი დაცულია), ისიც ასევე თავაზიანად უპასუხებდა ჩემს თავგანწირვას, არ აღმომიჩენდა არარსებულ შავ კატას ბნელ ოთახში და სადღეისოდ დადგენილი მექნებოდა სამუშაო სტაჟი არა 29 წლის ოდენობით, არამედ 37 წელი (მაგ. 1967 წ. 22 ივლისიდან 1967 წ. 28 დეკემბრამდე). სტაჟი არ ჩამეთვალა იმის გამო, რომ ტექსტი მხოლოდ ქართულია, რუსული თარგმნის გარეშე — აქ მიზეზი „ობიექტურია“ და „საფუძვლიანი“. დანარჩენი წლების გაუქმება შესაძლებელი ყოფილა მიზეზის გარეშეც, რასაც ვერ გაამბათილებს ამაო ღაღადი შრომის ნიგნაკში ჩანაწერებისა ხელმონერებით და ბეჭდებით. თუ ინსპექტორმა იცის „თავისი საქმე“ ზედმინევნით კარგად, არ გეტყვის, რომ თუ სამხედრო სამსახური არ არის შეტანილი, საჭიროა სამხედრო კომისარიატიდან ცნობა.

ასევე დამერიცხებოდა პენსიის თანხაზე დანამატი 10 პროცენტის ოდენობით 35 წელზე მეტი სამუშაო სტაჟის გამო და ჩემს ბოლო დღეებს, როგორც ვალმოხდილი ადამიანი, უშფოთველად გავატარებდი.

ახლა მე მხოლოდ ერთი ვინრო გზა დამიტოვეს სოციუზრუნველყოფის მესვეურებმა, ის დარჩენილი სიცოცხლე სიბერის პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩივილს მოვანდომო... თუ ამასობაში მიქელგაბრიელი არ მომაკითხავს“.

ახლა თბილისელ ოთარ ფირცხალავას მოვუსმინოთ:

„დადგა ჩემი საპენსიო ორომტრიალიც, ჯერ სანამ საჭირო საბუთები მოვაგროვე, განვლო ორმა თვემ, ხოლო როცა საბუთები მივიტანე ორჯონიკიძის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში, მოვხვდი ჯერ ერთ მორიგესთან, რომელმაც თავისი შესწორებები შეიტანა საბუთებში, დავუმატე, გავასწორე და ხელახლა შევიტანე. ამჟამად კი მოვხვდი მეორე მორიგესთან, რომელმაც თავისი შესწორებები შეიტანა. გაბრაზებული შევედი განყოფილების გამგესთან, რომელმაც ეჭვის თვალით შემომხედა, რადგან უკვე აღელვებული ვიყავი. ჩემი მდგომარეობის ახსნის შემდეგ ამიხსნა (სტილი დაცულია), რომ თვითონ პენსიონერმა საბუთები არ უნდა შემოიტანოს, ამისთვის არსებობს ორგანიზაციის წარმომადგენელიო, და დაურეკა ჩემს დირექტორს.

სანამ ბრძანება დაიწერა და წარმომადგენელი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, გავიდა ხანი, პენსია დამენიშნა ხუთი თვის შემდეგ. თანახმად უფლებისა შევუდექი ადგილობრივი მნიშვნელობის პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით საბუთების შეგროვებას, პარტიული დახასიათების ცერემონიას მოუნდა სამი თვე... პერსონალური პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით დამჭირდა მოხუცებულობის პენსიიდან მოხსნა. მოხსნის დროიდან პენსიის მიღებამდე გავიდა სამი თვე... 1987 წლის აგვისტოდან 1988 წლის აგვისტომდე თვეში 130 მანეთი პენსია დაიკარგა, რაც შეადგენს 1300 მანეთს“.

რედაქციისაგან: კოოპერატივ „თხა და გიგოს“ შექმნასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებსა და ცალკეულ ორგანიზაციებს ვთხოვთ გამოგვიგზავნონ თავიანთი მოსაზრებები. კოოპერატივის გამგეობა გარანტიას იძლევა, რომ ყოველი წერილი წაკითხული იქნება გიგოსათვის დამახასიათებელი თავის კანტურით!

ჩვენი დროის პარადოქსები მედროვე

მთელი მსოფლიო გასცქერის „ბურანს“, —
რომ გადასერა ცათა ტატნობი,
მე კი ეკრანთან პალტო მახურავს, —
ვერ შეაკეთეს მილი გათბობის!..

ყურმილით გვიხმობს მკვიდრი რაკეტის! —
ო, რას მოესწრო ჩვენი თაობა!
თუმცა მეგობარს აქვე, ვაკეში,
ვერ დავურეკე საბურთალოდან!..

პროექტი ვნახე: სოფლის შენებად
კოსმოსს გზავნიან ბეტონს და რკინას,
მაგრამ მე მაინც არ მეშველება, —
ოცი წლის შემდეგ მივიღებ ბინას!..

გადაიკეტა არაგვ-ენგური,
ეს ხეობებიც იქცევა ზღვებად,
ჩემთან კი დილით მილქვეშ შედგმული
კასრი ბინდამდეც ვერ აივსება!..

სანჰიგიენით (არ უნდა ფიცი!),
ყველას ვჯობთ — ინგლისს, ჩილეს თუ ლიბანს,
ოღონდ ეს არის: ზოგი თბილისში
ტანს ისევ მცოცავ გრაფიკით იბანს!..

ავთანდილ ციბაძე

ამყოლს ავყევი და ჩავყევი,
დროებას ვუკმევდი გუნდრუკს,
საკუთარ „მეს“ არად ვაგდებდი,
სხვის ხმაზე ვიწყებდი ცუნდრუკს!..

და ასე ვიცხოვრე რა ხანი,
ყველასგან ვმალავდი ეჭვებს!..
იმ უძრაობისას გავქვავდი
და სულ ერთ ადგილზე ვერჭვე!..

დღეს ვერ გამიგია, რაღა ვქნა,
ვგავარ დაყუდებულ მლოცველს!..
თუკი მხარს დავუჭერ გარდაქმნას,
ტაშის გარანტიას მომცემთ?!

ბაბო ხვედელიძე
(საჩხერის რაიონი, სოფელი ბაჯითი).

გარდაქმნამ გამომაცოცხლა!..

სამოცი წლისა რომ გავხდი,
დადგა გარდაქმნის ეპოქა,
მეც გარდაქმნაში ჩავები,
ვიბრძვი, რაც ძალა მეყოფა!..
წინათ სულ ხოტბას ვუძღვნიდი
ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს ყოფას,
მე რომ შარბათი მეგონა,
თურმე მასმევდნენ ლენცოფას!..
ახლა რის ხოტბა, რა ხოტბა?! —
ვდგავარ სიმართლის წინაშე,
ვნანობ, რაც ქება ნარმოვთქვი,
რაც ვიხოტბე და ვიტაშე!
წარსულს — კრიტიკა! მშობლებსაც
ზოგჯერ ვიხსენებ აუგად:
როცა სტალინის ბრძანებით
კოლექტივობა დაუდგათ,
არცკი დაფიქრდნენ, არტელში
თურმე შეცვივდნენ პირველნი,
შრომობდნენ, ხმას არ იღებდნენ,
უსამართლობის მხილველნი!
ნატრობდნენ საცოდავები
პურსა და სიმინდს ხვავიანს,
ისე ნავიდნენ იმ ქვეყნად,
ერთხელ არ გაუხარიათ!..
მეც გამანვალა მრუდე გზამ,
მაგემა ტანჯვა-ჯაბირი,
ჯავრსა და ბოღმას ვმალავდი
ზეიმით, „ვაშას“ ძახილით!..
ახლა მეშველა! — გავიგე,
როგორ ვიცხოვრო და რა ვქნა!
გარდაქმნამ გამომაცოცხლა,
სულზე მომისწრო გარდაქმნამ!

ნოდარ შამანაძე

— გამოზამთრებით კი გამოვაზამთრეთ, მაგრამ ახლა ამათი ფეხზე წამოყენება არ გინდა?!

ტიტა მანჭიხვილი-ჩხუბოლაძე საკმაოდ-ინტერესო-ინტერესო

ჩემი, რ ო გ ო რ ც მრავალი საბჭოთა შემოქმედის ბედი, საოცრად ჰგავს დაგვიანებული მახარობლის ხვედრს, შუა ქორწილში რომ მოაქვს ამბავი. დიდი ხნის განმავლობაში ფერწერით და ეკლიოლეობით ჩეხოვის. ზოგჯერ გამბედულ აზრებს კი ვიპარებდით მკაცრი რედაქტორის ჩაკონტროლებულ მზერას, მაგრამ მაინც იძულებული ვხდებოდით მთავარი საძიებელი სანერი მაგიდის უჯრაში ჩავგვალა. ახლა სხვა დროა — საფარორობისა და დემოკრატიის ხანა! ჩვენს მაშინდელ სტრიქონებში ახლა შეიძლება გაბედული და „ხანსაციური" ვეღარავერი ჩაბოთ, მაგრამ მაინ, როგორც ე. ვ ე ტ ო ვ ნ ე კ ო ამბობს, „ამამად ისტორიული დოკუმენტების ფასი ეფდა". ამ მოსაზრებით მკოთხველს თითაზოს ჩემს გამოუქვეყნებელ ლექსებს და თუ იგი მიიჩნევს, რომ მათში ზოგი რამ არ მოძველებულა, მაგრამ მეტი რა რა შეიქმნა?

ა ვ ტ ო რ ი

რიგი

რამდენს ანუხებს მომავლის შიში,
რამდენი ეტანი მორცხვად უროკობს.
ბედნიერების გიგანტურ რიგში
რამდენი კაცი მიდის ურიგოდ!..
ჩაფიქრებული ზნარად უფალო,
ბედნიერება არ აქვს ამდენი,
რომ ყველა იყოს თავისუფალი
და ეხოლოს ბედი ჰქონდეს ნათელი!..
ბედს თავში ჩაჰკრეს, როცა იბოვა,
ლმერთს კი მარგი ალარ ეგუფლეს,
ახლა რალა ქნას?.. მიდის ფეთხონაც
და რიგში დგება მორიდებულ!..
თავის გაგანა ძნელ გამფდარა,
ამაოდ ელი სხვისგან ქველობას,
რიგის თავში კი ფდგარი საბანა
ბედ-იღბალს ყიდის დახლის ქვეშოდან!..

1968 ნ.

. . .

ვენაცვალე ნუთისოფლის
სულში ტოკვებს
ნარეხოცელ კაცებს,
ბრიყვი ხმირად ისეთ
ნარეკაბებას აღნევს,
გრცხვენია, რომ
ნიჭიერი ხარ!

1968 ნ.

გიბას

უნდა იყო პაატაკი,
უნდა იყო ცოტნელ
და სამარადის საძმელად
სიმამაცეც გკონდეს!
თავი თუ არ გაწირე
და ჯეკარს თუ არ ეცვი,
ვის რად უნდა, თუ ძმა ხარ,
მარტო შენი ლექსი?!

1969 ნ.

წინამძღოლები?

თუმცა ისეთი ძერნია —
ჩიტებიც ერავენ კამარას,
მუხები ილუბინან,
ცრჩენები ლილეობს ამარა!..
თუმც გაკაპისოდან პაერი,
ზღვებში თევზებმაც ითევზეს
და მაინც კიცი ქაკვინი
დასათვლელი გვაკვს თითებზე!..

1973 ნ.

სკლეროზი

დაეცემინან რესტორნებს,
საყმელს ითხოვენ ნოყიერს,
ღვინოს სვამენ და ბაბუსით
ინსტრუქციას ყოფის ბორკილებს!..
გაბრუებულნი დადიან
გრადუსიანი ეროსით,
ძალი თუ პატრონს ვერა ცნობს,
კატას რიდი აქვს სკლეროზი!

1973 ნ.

. . .

პურს სად აცხობენ, ვიდრემდე
გახურდებოდეს თონე?
ცხოვრებას არ გვიცლიან და
ბიოგრაფიას გვთხოვენ!

1974 ნ.

. . .

ეამაყობ ამ სახელებით:
დავითი, შოთა, თამარი!..
ვინ მოიგონა სამშობლო,
რა დიდებული რამ არის!

1969 ნ.

დუმილი

შორს ციმციმებს
ერნანის,
სალამოა ჩუმი,
ისტორიამ რა იცის,
რა ფასი აქვს
დუმილს!

1971 ნ.

იდილია

დავიბადეთ სუფევილების მონებად,
ბეჭედსშია ჩვენი რწმენის ტაძარი,
საჭიკ გული — ცარიელი გონება! —
უკეთესი საგანმეტრი არც არის!
უნდა ვეწყოთ ბედისწერის მოძახილს,
შეგვაყარის თუნდაც თვალში ნაცარი!..
საცსე მუკარე — ცარიელი ოჯახი! —
უკეთესი ადილია არც არის!

1971 ნ.

ბედნიერება

ცხოვრება არ ჰგავს ბრნყინვას ცის,
სისხლსაც ხმანად გნოვს დიდად,
უბედურებას ისე ეჩრის,
თითქოს ძალიან გინდა!
შეურული არის ბედნყინ გზა
და რა გაბდავა ბორგეთ?!
ბედნიერებაც ნალეს ჰგავს,
ალგა-ალაგ რომ მოგიის!

1971 ნ.

ავი ძალები

ხალმაა შეთხზა შეგრნება,
ანდაზას რომ ჰგავს:
„ავი ძალი არც თეფთონ ჭამს
და არც აძლევს სხვას".
რაც დრო გადის, ეს ამბავი
უფრო ნათლად ჩანს;
გამოსნორდა ავი ძალი —
ახლა მარტო ჭამს!

1971 ნ.

. . .

კერპად ეხდიან
ქონებას ნეტარს,
გულმოდგინეებით
იძენენ მარჯნებს!..
ქვეყნად რამდენი
სინმინდე ქრება
ამ პრაქტიკული
ცხოვრების ბარაზზე!

1984 ნ.

. . .

საზრდოა ჩემთვის ლეგენდაც,
ცის ლაჟვარდებში ეფრენ,
ღმერთებში კაცებს ვეძებ და
კაცებში ეიდევ — ღმერთს.
არ ვარ ბრძოლებით დაღლილი,
უმოქმედობაც მძულს,
მაგრამ მიგდებულ სახლივით
ჰატრონს მოველი სულ!..

1984 ნ.

. . .

მოგონილი არის მათთან
საიდუმლო სურნა,
ღმერთს ყიდან და გულდაგულ
ილახავენ ზნეობას!..
სადაც ცოდვის გავრეულებს
არენა აქვს მზვალებულ,
იქ კაცას თუ ეფეფებენ,
ძალლსაც დაანაგვებენ!

1981 ნ.

ნიუტონის ვაშლი

ცხოვრება ნინ არ მიდის,
ამას ნუ დავმალავთ!
რაც დრო გადის, ჯიბის ფულს
ეკარგება ძალა..
ბაზრის გამეფდეველში
მდიდრებიან დიდდებ!..
ნიტაკი ნიუტონი
ვაშლს რა ფასად ყიდდა?

1984 ნ.

. . .

ვიბადებით კაცად,
ბედი ცხოველს გვდრის
და ასაკიც გვძარცავს,
როგორც ქარი მარტხის!..
იმედი გვაქვს ამგრად,
ოცნებებმი ვცდებინო,
ცხოვრება თუ არ ჩანს,
ჩვენ რიდი ეარრ ბრმები!

1984 ნ.

ალდგომა

მწამს, დაფასება გვერგება
ნიმნად ამდენი ლოდინის
და მაინც სეფდის სიმძიმე
გულზე გვიჯდეს ლოდივით!..
მარტო ეკლილი სურვილით
საქმე წინ არ დაიძრება!
რა სუფ ხეალეა ალდგომა,
ნუთუ დღეს არ შეიძლებას?!

1984 ნ.

. . .

საქმის მაგიერად
სიტყვაა მხოლოდ,
ქარი ამტყდარა
ქათინაურთან!..
რამდენ გონიერს
მოუფეს ბოლო,
რამდენი ბრიყვი
დანინაურდა!..

1985 ნ.

მაგიერ ალიბინა ირონტრენისთვის

ნიკორწმინდა და დიოსკურია
მუზის საგანი არის,
მაგრამ მთავარი თერმე გულია
და შემოქმედის თვალი!
დფფარანენილს რომ ჩაუვლია —
მოგეგრეფენია მთვრალის!..
მოკეფდენი თავეს კარგად ეულიან, —
ვეი ეუკადეთა ბრალი!

1969 ნ.

რომი

დაძაბულია ცოფა მრავალის,
ამაოდ ბელი სიცოცხლეს ნეტარს,
თავს ზემოთ ხმირად ძალა არ არის,
მართალი ხარ და — ტყუიხარ ბედთან!

სურათს რომ აკრავს შავი არშია,
ეს კაცს ცხოვრება არ ჰქონდა მშვიდი!
თუ ძმა ხარ, რომი რა შუაშია,
ყველ გზა ბოლოს გულისკენ მიდის!

1981 ნ.

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ფოტ. ბ. ბაბაიანი

ფოტ. ბ. ბაბაიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ვფიქრობდი გარდაქმნასთან დაკავშირებით მუშაობაში სიახლის დანერგვაზე. ჩემთვის, როგორც ბულალტრისათვის, ძნელი აღმოჩნდა ახალ რელსებზე გადასვლისათვის ფონის მოძებნა, მაგრამ ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც: შაბათ დილას ლოგინში მწოლიარემ თავი მოვუყარე დიდი ხნის ნაფიქრ-ნააზრევს და გადავწყვიტე ყოველთვიური ბალანსი ერთი დღით ადრე ჩამებარებინა და ამით ჩემი წვლილი შემეტანა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მიღებული გადაწყვეტილებით - ფრთაშეხსმული ლოგინიდან წამოვვარდი, პირი საჩქაროდ გავიპარსე, ზეზეურად წავიხემსე, ეზოში ჩავირბინე, საკუთარი „მოსკვიჩი“ ავამუშავე, ბერკეტი უკანა სიჩქარეში გადავრთე, საჭე საკმარისზე მეტად მოვღუნე, ადგილიდან მოვწყვიტე და რკინის ღრჭიალით ელდანაცემმა მარჯვენა ფეხის ტერფი მუხრუჭის სატერფალს ლურსმანივით მივაჭედე. მანქანიდან გამოვვარდი. მივედი, ვნახე, მაგრამ, ვაი, იმ სანახავს! მანქანის მარჯვენა ფრთა გარაჟის ბოძზე უსარო ვაზივით იყო ჩახვეული. დამწუხრებული ჭირისუფალივით გულხელდაკრეფილი დიდხანს დავყურებდი შემწვარი ვაშლივით დაჭმუჭნილ ფრთას და პარკინსონის ჭირშეყრილივით თავს საცოდავად ვაქანქარებდი. სანამდის გონება საღად დაიწყებდა აზროვნებას, კარგა ხანი გავიდა, ცნობიერებადაბრუნებულმა მანქანა ჩაჩაქით იქვე ახლოს პროფილაქტიკაში მივაჩანჩალე და კითხვაკითხვით მეთუნუქეს მივადექი.

— როგორ მოგწონს, ოსტატო?

— კარგია.

— ვისთვისაა კარგი?

— ჩემთვის.

— რამდენი დასჭირდება?

— ხუთასი...

— რას ამბობ, კაცო! ერთი ფრთის გამოცვლა — ხუთასი მანეთი?!. ღმერთი აღარა გწამთ?

— ფრთითა ფრინავს ფრინველი. თუ არ გინდა, იმავე კარებიდან გახვალ, რომლიდანაც შემოხვედი, კაციშვილი არ გეტყვის, უკან რატომ გადიხარო.

— გმადლობთ რჩევისათვის. ერთი ესეც მიბრძანე, გაზეთებს თუ კითხულობ?

ფელეტონი

— როგორ არა...

— გარდაქმნის შესახებ თუ წაგიკითხავს რაიმე?

— მაშ როგორ!

— მერე?

— ჩვენ რა გვაქვს გარდასაქმნელი, ალალი მარჯვენით ვმუშაობთ.

— ჩვენ — ნათხოვრით?

— მოკლედ, იცი, რა გითხრა! გინდა — დატოვე ეგ შენი დაჭმუჭნილი მანქანა და გინდა — წაიღე. — ხელოსანი ისევ მწვანე „ჟიგულის“ მიუტრიალდა და ხარფუხელ მექისესავით დაუწყო ხეხვა. რაღას ვიზამდი? ჩემი დაკოჭლებული მანქანა ისევ ეზოში შევაგორე, სახლიდან საკოსტიუმე ნაჭერი გამოვიტანე და ნაცნობ მკერავს მივადექი.

— გამარჯობა, ვასო!

— გაგიმარჯოს!..

— საკოსტიუმე მოვიტანე. შენ იცი ახლა და შენმა ოქროს ხელებმა!..

— ოქროს ჯიბის საქმე როგორ არის?

— ბევრი ვერაფერი... ისევ ას ოცი?

— არა, ახლა ას ორმოცი...

— რატომ, კაცო? გარდაქმნის შედეგად თქვენ სარჩულის ქვევით ამოყავით თავი? თვითდაფინანსებაზე არ გადასულხართ?

— მერე რაა, რომ გადავედით. ახლა გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა, თუ გვჭირდება! თოთო ბავშვს არტახის თასმებს რომ მოუშვებენ, ხომ იცი, აკვნიდან ამოფრენას ლამობს, ასეა ჩვენი საქმეც.

საკოსტიუმე ნაჭერი ვასოს დავუტოვე და ბოღმით გულგასიებულმა სამკერვალოს კარი გამოვიხურე. ქუჩაში ყავის საამო სურნელმა გამაბრუა, იქვე ახლოს პატარა სკვერში შევედი და ახალშეღებილ სკამზე ჩამოვჯექი.

„ყავა“, „ნაყინი“, „ნამცხვრები“ — წავიკითხე აბრაზე და ცდუნებას ვეღარ გავუძელ.

— ერთი ყავა და ორი ნამცხვარი.

— ახლავე, ჩემო ბატონო, აი, აქ დაბრძანდით! თავისუფლად, თავისუფლად, ზურგი მიაყრდენით, თითოეული სკამი საგულდაგულოდ მაქვს გაწმენდილი, ჩვენმა კოოპერატივმა სანიმუშო მომსახურებით გაითქვა სახელი...

სანდომიანი სახის ახალგაზრდამ მაგიდას სუფთა მუშამბა გადააფარა და საამო ორთქლით თავმობმული ფინჯანი მაგიდაზე ნარნარად შემოდგა.

— ექვსი მანეთი და სამოცდაათი კაპიკი.

— როგორ? როგორ? ექვსი მანეთი?..

— და სამოცდაათი კაპიკი! — წამომეშველა იმპორტული ღიმილით სახეგაბრწყინებული ქალიშვილი და იმერული აქცენტით „დასურათხატებული“ სიტყვები სეტყვასავით დამაყარა.

— რეიზა გეკვირვებათ, პატივცემულო! ეს ჩვენი კოოპერატივის მიერ დამტკიცებული ფასებია და ამფერად აწყობილი საქმე ნეტავი ყველა კოოპერატივს ჰქონდეს!..

— რა ჰქვია თქვენს კოოპერატივს?

— „ნიავი“!..

— დიდება შენდა, ღმერთო! „ნიავს“ თუ ასეთი ზარალის მოყენება შეუძლია, წარმოდგენილი მაქვს „ქარიშხალი“ რაღას იზამდა.

— „ქარიშხალი“ აგერ იმ კოოპერატივს ჰქვია, მწვადის სუნი რომ გამოდის, მაგრამ იმას ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგენი სხვა კოოპერატივს ეკუთვნიან. ჩვენი საოჯახოა და კოოპერატივების სამყაროში მარადიული მშვიდობა ღმერთმა შეგვაძლებინოს.

— ამინ! — ვუთხარი გულმხურვალედ და პირჯვარი გადავწერე!

— ნურც ჩვენ გაგვწირავ, ღმერთო, ჩვენც გადაგვაფარე მფარველი კალთა!.. ნუ გაგვიქრობ ჯიბის ბარაქას, დაგვიცავი ასეთი კოოპერატივებისაგან!.. — შევღაღადე მამაზეციერს და კარი გამოვიკეტე.

იმ საღამოს დიდხანს ვფიქრობდი გარდაქმნის შესახებ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი კატეგორიის ხალხს არაფერი აქვს გარდასაქმნელი, გარდაქმნა ეხება იმათ, რომლებიც წინათ ხელებს სხვის ჯიბეში აფათურებდნენ და ახლა მომატებული მადით მომართეს ყბები.

ვალერიან მამუკელაშვილი



ნახ. ნ. ასლამაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხის პასუხი

(ილიასებურად)

ჩვენ, უფულონი,
თქვენ, ფულიანთა,
ბრიყვნი გგონივართ,
რადგან ნაქურდალ-ნაღლეტავის
უქონონი ვართ!
თქვენ ვლეთ რუსეთი,
საფრანგეთი, შვეიცარია
და ჩამოზიდეთ ძონძმანძები,
რაც მთავარია!
უცხო ავეჯით, ლარნაკებით
გატენეთ ბინა,
ქურდების შიშით გაცახცახებთ,
ვეღარცა გძინავთ!
ჩვენც ვლეთ რუსეთი,
იტალია, პორტუგალია!..
თქვენებრ ფულები
ნიფხვებში არ დაგვიმალია!
(ვაი, სირცხვილო, თქვენგან
ბევრი „ვითომ ქალია"!),
ამის დანერა, სწორი გითხრათ,
მიჭირს ძალიან,
მაგრამ რას იზამ,
ყველგან არის ანომალია!
ჩვენ, უფულოთა,
ღვთის წყალობით,
ჩვენი გვაქვს ბინა,
კარებს არ ვკეტავთ,
თუნდ არავინ არ იყოს შინა!
არა გვაქვს თქვენებრ
გადაკრული კარებზე რკინა,
ღია კარებშიც უშფოთველად,
უშიშრად გვძინავს!
თქვენ ფულიანნი,
დღენიადაგ ვიღაცას ძარცვავთ,
მერე ჩუმ-ჩუმად
ბრილიანტებს ცერცვივით მარცვლავთ,
მალავთ ჭურებში, სარდაფებში,
ჭერში თუ სხვენში,
ჩვენდა სირცხვილად,
უამრავი მომრავლდით ჩვენში!
ჩვენ, უფულოთა,
სიყრმიდანვე გვასწავლეს შრომა,
პატიოსნება, დისციპლინა,
ჭამა-სმის ზომა,
სულში შთაგვბერეს
უკეთესი მომავლის რწმენა,
პატიოსნება, სიყვარული
და ჭირთა თმენა,
რისთვისაც ახლა
უსინდისოდ დაგვცინით ჩვენა!
თქვენ, ფულიანთა,
უნამუსოდ ნაიგდეთ ენა
და ნამუსისკენ მოუნოდებთ
უცოდველთ თქვენა!

უსიტყვოდ

მადლობა უფალს! —
მოგვეევლინა განკითხვის ჟამი! —
ვეღარ ანათებს ძველებურად
ჯოჯოხეთს ქრთამი,
არ დაინთხევა უმიზეზოდ
სამსალა-შხამი,
არ ეღირსება დღეს უღირსებს
„მაღალი" სკამი!

ნიკოლოზ იოსებიძე

კომბინატორის მონოლოგი

(პაროდია)

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი",
კომბინატორის გზა სულ ცხადია —
ფულის ხვეჭა და გროვება განძის.

შემოიღამებს მტკვრის ნაპირები
და რესტორანში თუ დამათენდა,
„ღამენათევი და ნამთვრალევი"
მეფურად მივალ ლამაზმანებთან.

„ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს",
ქრთამით დავიცავ „ცეხს" და საქონელს,
თან დავუბრმავებ რევიზორს თვალებს.

„და მაშინ ვიტყვი: აჰა, მოვედი"
კაცი, გავსილი ნანატრი განძით,
შეხედეთ, დასტკბით კომბინატორის
ოქროს ხელებით, მედიდურ სახით!

შეხედეთ, დასტკბით, ჩემი თვალები,
ნინათ რომ კრთოდნენ ცრემლთა იებით,
„ლევის" და „პრავის" შეხმატკბილებით
სავსეა ახლა ფულისძიებით!

გასკდით! ასეა ყველას ცოლ-შვილი,
ჩემს ძმაკაცებში ასეა ყველა?
ვინც დამცინოდა, არ მკადრულობდა
ფეხქვეშ მეგება, ვითა პეპელა!

„სად არის ჩემთვის სამაგიერო?"
სად დავაგროვე ამდენი ფული?
მე არ გეგონოთ ვინმე არიფი,
„ასიანებით" ვარ განათლული!

და თუ საქმოსნის მადლიან გზაზე
„ობეხეესი" მომეჩვენება,
იქ, სასამართლო სხდომა-პროცესზე
ჩემგან იქნება „მოძმეთ" ხსენება.

გამიკვრენ ხელებს და ციხისაკენ
გამაქანებენ „ჩორნი ვორონით",
თან გავიყოლებ, ვინც კი გავავსე
არმად ნაშოვნი ფულით, ოქროთი!

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი",
კომბინატორის გზა სიზმარია
და ახლობელი ციხე ლაჟვარდი.

მერაბ თათელაძე



ბარათები „ნიანგს“, ანუ რატომ მოდის რედაქციაში წერილი?

საამისო მიზეზი მრავალია, მაგრამ მათ შორის ალბათ ყველაზე თვალშისაცემი მაინც ქართული ანდაზა — **„სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“** გახლავთ. პარტიულ, საბჭოთა თუ სამეურნეო აპარატში ჯერ კიდევ თბილად მოკალათებული ბევრი ბიუროკრატი გარდაქმნის ილუზიას ქმნის, თავად კი ჭუჭრუტანიდან გულგრილად აკვირდება საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებს და საკუთარი შერყეული პოზიციების შენარჩუნებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე საერთო საქმის წინსვლაზე.

ამჟამად ჩვენში არსებობს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური გულგრილობის შემთხვევები, რომლის შედეგად ფეხებზე დაკიდებული თითოეული ადამიანის სანაცვლოდ გვრჩება მხოლოდ მისი საჩივარი, რისხვით სავსე, ირონიანარევი, სასოებით დაწერილი და ხშირად ყოველგვარ იმედს მოკლებული. ერთ-ერთი მათგანია თბილისელი მოქალაქე **ლ. აგლაძე,** რომლის წინაშე **თბილისის პირველი მაისის რაიაღმასკომის** აპარატში მოკალათებულ გულგრილ მუშაკებს ისეთი ბიუროკრატიული კედელი აღუმართავთ, რომ მას პროფესიონალი სპორტსმენიც ვერ გადაახტება. იმ მოტივით, რომ თითქოს **დიღმის მასივის მე-6 კვარტალის 23-ე „ბ“ კორპუსში** მდებარე მისი ბინის ფართობი არის 32,5 კვადრატული მეტრი, **ლ. აგლაძე** და მისი ოჯახის წევრები მოხსნეს ბინის მიღების აღრიცხვიდან, სადაც ისინი 1979 წლიდან იმყოფებოდნენ. ამასობაში დიღმის აშენებულ კოოპერატივში **ლ. აგლაძისათვის** გამოყოფილი ბინა სხვა ოჯახს გადაეცა. გაწამებულმა ქალმა მრავალგზის იჩივლა სხვადასხვა ინსტანციაში, შვიდჯერ აზომეს მისი ბინა და შვიდჯერვე სხვადასხვა ფართი მიიღეს, ხან სანიტარულ ნორმაზე მეტი, ხან — ნაკლები. ბოლოს **ქალაქის ტექნიკური განყოფილებისა და საბინაო მეურნეობის სამმართველომ მართლაც საგულდაგულოდ გადაზომა აგლაძის ბინა და დაადგინა, რომ მისი ფართი არის 31,69 კვ. მ. ე. ი. სანიტარულ ნორმაზე ნაკლები. ლ. აგლაძე კვლავ აიყვანეს აღრიცხვაზე, მაგრამ არა 1979 წლიდან, როგორც უკანონოდ მოხსნილი, არამედ 1987 წლიდან, როცა საბოლოოდ დადგინდა, რომ მას ეკუთვნის გაფართობა.**

ახლა კი საჩივარს საჩივარზე წერს ლ. **აგლაძე,** სამართლის აღდგენას მოითხოვს, მაგრამ მისი ყოველი იერიში ბიუროკრატიულ კედელს ასკდება!..

უკვე მერამდენედ გვწერენ ხელფეხდალეწილი მოქალაქეები ქუჩების აუტანელ მდგომარეობაზე. ამჯერადაც მაგიდაზე გვიდევს **ქუთაისელთა მიერ გამოგზავნილი პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს 54 ადამიანი. ესენი ძირითადად ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის მარჯვენა დასახლების მცხოვრებნი არიან. მათ ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში შესჩივლეს ქალაქის საბჭოს მესვეურებს ლუქსემბურგის ქუჩის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ, პასუხიც მალე მიიღეს, რომელსაც ხელს აწერდა ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის კეთილმოწყობის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. შალამბერიძე. იგი უგზოობით გატანჯულ ხალხს აუწყებდა, ლუქსემბურგის ქუჩას 1988 წლის მე-3 კვარტალის ბოლომდე კაპიტალური რემონტი უსიკვდილოდ ჩაუტარდებაო. უსიკვდილოდ ქუთაისელები მართლაც ვერ გადარჩნენ, რადგან თურმე საშინლად ანგრეულმა გზამ კაცის სიცოცხლე შეინირა ქუჩის ბედით კი შემდეგ აღარავინ დაინტერესებულა!** ახლა კი გულგრილობის მსხვერპლნი კოლექტიურად იხვეწებიან, გზას თუ არ შეგვიკეთებთ, გულის დამაიმედებელი პასუხი მაინც მოგვწერეთ, რადგან კოლბოხებზე ხტუნვით გატანჯულ სულს კარგი სიტყვა მოედება სალბუნადო.

მართალია, პირველად მოგვმართეს საჩივრით **დუშეთის რაიონის დასახლება ბიჩინგაურების** და **სოფელ მიგრიაულების მცხოვრებლებმა,** მაგრამ მათი ღაღადისი უდავოდ ანგარიშგასაწევია. **130-კომლიან ბიჩინგაურების დასახლებას მხოლოდ ერთი ფარღალალა მაღაზია ემსახურება, არა აქვთ წყალი, გაზი!.. ერთადერთი წყარო კი წყურვილს ვერ უკლავს სოფლელებს.**

„ნუთუ სირცხვილი არ არის? ყინვალაჰესი წყლით ამარაგებს თბილისს, დუშეთს და ჩვენ, გვერდში მყოფი ხალხი, საშინელ უწყლობას განვიცდით“, — გვწერენ ბიჩინგაურელები და რედაქციაც სავსებით იზიარებს მათ მოსაზრებას. **მიგრიაულელები კი უგზოობას, უსინათლობას, უტელევიზორობას, უკინოობას და სოფლიდან ახალგაზრდობის გახიზვნას ჩივიან.**

ვინ უნდა დაინტერესდეს ამ ორი სოფლის ბედით?

გვწერენ რესპუბლიკის გარედანაც. **ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის** საფინანსო **განყოფილების** გამგე **ნ. ტ. შატალოვი** მუხლზე **დაჩოქილი გვევედრება შევაგონოთ საქართველოს** სათბობის **სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომ დროზე გადაუხადონ ტრაქტორმშენებლებს სამი ტრაქტორის** საფასური, **რომლებიც ჯერ კიდევ ნავთობპროდუქტების** სახელმწიფო **კომიტეტმა რეორგანიზაციამდე შეიძინა ნისიად.** ნისია კი, როგორც იტყვიან, სხვისი ქონებაც არის და დარდიც, ამიტომაც გვთხოვენ შველას ლიპეცკელები და ჩვენც ვთხოვთ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელებს, ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ საკითხს!

აი, რატომ მოდის წერილები რედაქციაში და მათი რიცხვი ალბათ არც მომავალში შემცირდება, თუ ადგილზე დროულად და ხარისხიანად არ გადაიჭრება ის საკითხები, რომელთაც მხოლოდ ჩვენი გულგრილობა ან უგერგილობა წარმოქმნის ხოლმე.

ნანა ჯაჯანაშვილი

რა ჭკუით, რა ხერხით მუშაობს სახერხი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

სახერხი რომ ხერხთანაა დაკავშირებული, ხოლო ხერხი — მოხერხებულობასთან, ალბათ ეს ანდაზაც მოწმობს: **ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.** ჰოდა, მოიგონა თუ არა, სინდის-ნამუსს, საღ აზრსა და ღონეს პირველ რიგში მოხერხებულობა დაუპირისპირა და თავი უხერხულად სრულიადაც არ უგრძნია **თიანეთის რაიონის ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან (დირექტორი ე. მ ი დ ე ლ ა უ რ ი) არსებულ სამხერხაო საწარმოს ბრიგადირს დავით ხუცურაულს,** როდესაც სახელმწიფო მასალას თავისი სურვილისამებრ დაადო ფასი!..

ბრიგადირმა და მისი ბრიგადის წევრებმა ჩემი ვინაობის ძირფესვიანად დადგენის შემდეგ, რაკი ჩემი გაჭირვების უტყუარობაში დარწმუნდნენ, „კარტი გამიხსნეს“: **საშიფერე ხის მასალას ხვალვე დაგიმზადებთ, ოღონდ მეტრი „რეიკა“ 50 კაპიკი დაგიჯდებაო!**

კუბური მეტრი რა დამიჯდება-მეთქი, რომ ვკითხე, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: **ჩვენ მასალას კუბურ მეტრობით არც ვზომავთ და არც გაგვიზომია! თუ ნაღდი მყიდველი ხარ, მეტრობით მოგართმევთო!**

„რეიკასთან“ ერთად თუნუქის გადასახურავად თხელი, დაახლოებით 2 სმ სისქის მესამე ხარისხის ფიცარიც მჭირდებოდა, ამიტომ მისი ფასითაც დავინტერესდი.

ჯერ იუარა ხელმძღვანელმა: საერთოდ, ასე სიფრიფანად არ ვხერხავთ და შენ როგორ დაგიხერხოთო, მაგრამ, ეტყობა, შემდეგ ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი (ალბათ გაიფიქრა, ასე უფრო მეტი მოგება დამრჩებაო) და თამამად განმიცხადა გულში ნადები:

— 20 სანტიმეტრი სიგანისა და ორი სანტიმეტრი სისქის მეტრი ფიცარი მანეთი ღირს, დასახერხად თუმცა საწვალებელია, ვეცდები, როგორც ჩვენებურს, რაიმე გაგიხერხო! — თავისივე სურვილის დასაკმაყოფილებლად აღმითქვა დახმარება მოხერხებულმა მხერხავმა.

წარმოების უფროსი მოვიკითხე. გამინაწყენდა, შევატყვე, არ ეპიტნავა მისი ხსენება.

— აბა, რა აზრი აქვს უფროსის ნახვას? ამაზე ნაკლებად ასეთ მასალას არც **ზურაბ ნადირაშვილი** მოგცემთ! — მთლად გადამიწურა იმედი საწარმოს თვითმმართველმა ბრიგადირმა.

კი, მაგრამ მაინც როგორ, რა ფასად ყიდიან კერძო პირებზე ზემოაღნიშნული სახერხის ხელმძღვანელები ერთ კუბურ მეტრ წიფლის ხის მესამე ხარისხის მასალას?

საშიფერე „რეიკაში“, რომლის სიგანე ათი, ხოლო სისქე საშუალოდ სამ სანტიმეტრამდეა (შეუძლებელია ზუსტად გაზომო უსტანდარტოდ და უხარისხოდ დახერხილი მასალა), კუბურ მეტრში 330 მეტრი უნდა ჩაეტიოს, **თუმცა ისინი 4 სმ სისქისას ანგარიშობენ და 330-ის ნაცვლად 250 მ გაძლევენ, რაშიც აუღელვებლად აგაფცქვნიან 125 მანეთს!.. იმ შემთხვევაში კი, როცა თუნუქის გადასახურად ფიცარი გჭირდება, კუბურ მეტრში 250 მანეთს ისე დაურიდებლად აგწაპნიან, როგორც გასტრონომის მოლარეები 5-კაპიკიანზე დაბალი ნიშნით გამოხატული უკვე არარსებული თუ სადღაც გადამალული ფულის ერთეულებს!..**

რას იტყვით, მკითხველო, ჭამის როგორი მადა ჰქონიათ ზემოაღნიშნული სახერხი ქარხნის ხელმძღვანელებს?!

— ჭამის მადაც კარგი ჰქონიათ და მონელებისაცო, — იტყვით თქვენ და არც შეცდებით, რადგან ეს პროცესი ხომ წლობით მიმდინარეობს, გამკითხავი კი დღემდე არავინ ჩანს!..

რამდენიმე დღის შემდეგ გავარკვიეთ, **რომ ზემოდასახელებული სახერხი ამავე ტერიტორიაზე შემოზიდული მორებით თურმე არც კოოპერატორებისაა, არც ცეკავშირისა და, მით უმეტეს, არც საკუთარი დუქანი — იგი ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებაა,** მაგრამ მოგიკვდეთ მტერი, მეწველ ძროხასავით კი წველიან მოხერხებული მხერხავები იქით — სახელმწიფოს და აქეთ — კარზე მომდგარ გაჭირვებულთ. ასე უქცევიათ პირადი გამდიდრების წყაროდ სახალხო დოვლათი!

ასეთი „მოხერხებულობა“ ხომ არ ნიშნავს პატიოსანი მშრომელი ადამიანების ხერხემლის გადამსხვრევას?

ფრიდონ სომხიშვილი

იუგოსლავიის ჟურნალ „პავლიხას“ მიხედვით

178
31.III 89

უსიტყვოდ

ნახ. ჯ. ლოლუასი

მეცნიერული პროფანიალი

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

სათამაშოების სამეცნიერო-საწარმოო კომბინატის სამეცნიერო საბჭოს მორიგ სხდომაზე, ჭიპია ჭიპაძის საკვლევი პრობლემის განხილვისას გაირკვა, რომ აჯიკას სამკურნალო თვისებები ჰქონია და სერიოზული კვლევის ობიექტი ყოფილა. ამან კომბინატის ახალი დირექტორის იოთამ ვალერიანოვიჩის დაინტერესება გამოიწვია. მართალია, იგი დაქვეითებული აზროვნებით ხასიათდებოდა, მაგრამ ამჯერად მალე გამოფხიზლდა:

— სად აჯიკა და სად სათამაშოები! — შეუწყრა ვალერიანოვიჩი ჭიპაძეს.

— რატომ, ბატონო, მე აქ სპეციალობით ვმუშაობ! — სცადა თავის მართლება ჭიპიამ.

— რა სპეციალობით? — ჰკითხა იოთამმა და თან თავისი საკმაოდ მოზრდილი თავი, როგორც იქნა, აამოძრავა, რაც დიდ ჯაფად დაუჯდა.

— მე სპეციალობით ექიმ-პედიატრი ვარ, სათამაშოებიც ხომ ბავშვებისათვის გვინდა! მეც ბავშვთა კვების სრულყოფის მეთოდებზე ვმუშაობ, ამჯერად აჯიკის ზოგიერთ სამკურნალო თვისებას ვიკვლევ!

— მაინც რა დაადგინე?

— ჯერჯერობით ის, რომ, განსაზღვრული დოზით აჯიკა სასარგებლოა, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას და მადას უძლიერებს ადამიანს!

— რატომ ზოგიერთის?!. აჯიკის ყველა სამკურნალო თვისების შესწავლა არ შეიძლება?! — აღადგინა აჯიკის მიმართ თავისი დაინტერესება ვალერიანოვიჩმა.

— ეს უკვე სადოქტორო თემაა, რასაც ჯერჯერობით ვერ დავძლევ! — განმარტა ჭიპიამ.

— კი, მაგრამ აქ, ჩვენთან, როგორ მოხვდი?

— რაიონში არ მინდოდა განაწილებით წასვლა! აქ ერთმა ჩემმა ნათესავმა მომიყვანა და დავინყე მუშაობა სპეციალობით!

— ექიმს აქ რა უნდა?! — უყვირა ვალერიანოვიჩმა.

ბოლოსდაბოლოს იგი დარწმუნდა, რომ ჭიპია მართლაც ზედმეტი ბარგი იყო კომბინატისთვის.

— სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ პარალელურად შობადობის საკითხებზეც ვმუშაობ! — დაუმატა მანვე.

— ეს კი პატრიოტული საქმეა! — მოუწონა იოთამმა. ოდნავი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ფეხზე ნამოდგა და შეუყვირა ჭიპიას:

— ჩვენს კომბინატთან შობადობას მაინც რა კავშირი აქვს?

— პირდაპირი! — მიუგო ახლა უკვე ოდნავ ფერმოსულმა ჭიპიამ და ცადა უკანასკნელი გაბრძოლება ადგილის შენარჩუნებისათვის კომბინატში.

— ამიხსენი, როგორი? — შეეკითხა უკვე მაგიდაზე ნახევრად ნამონოლილი ვალერიანოვიჩი.

— ახლა ვაპირებ პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავებას რესპუბლიკაში შობადობის გაზრდის მიზნით. ამ მხრივ სასარგებლო იქნება საქმიანი კონტაქტები ყორდანიას სახელობის ინსტიტუტთან, მიმართვა დამჭირდება კომბინატიდან. რაც მეტი ბავშვი დაიბადება, მით უკეთესი არ არის კომბინატისათვის? პროდუქცია ხომ უფრო გასაღდება! — დაასკვნა ჭიპიამ, უკვე მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ადგილი შეინარჩუნა კომბინატში.

— თუ მართლაც ასეა, აჯიკას მოეშვი და შობადობაზე იმუშავე! — არგუმენტი სარწმუნოდ მიიჩნია და ურჩია ვალერიანოვიჩმა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ



ნახ. რ. პეტრიაშვილისა

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

№ 6 (1784) მარტი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონიძე, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 20.02.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.03.89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 411. უე 04640. ტირაჟი 129 000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, გახყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137